გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

------ბაღდათის---------- მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   (სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)
   ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების მასწავლებელბის კომპეტენციებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა გენდერული ძალადობისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით

2. **თემატიკა:**
   (გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)
   საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერვგვის მიზნით ტრენინგ კურსის ჩატარება

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   (მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
   (ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის დაბლობზე, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელ, ქუთაისი-ბაღდათი-ბენარის საავტომობილო გზაზე. ბაღდათი ესაზღვრება რეგიონის ცენტრს (ქ. ქუთაისს) და 6 მუნიციპალიტეტს, აქედან 4 მათგანთან დაკავშირებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია- 220 კმ-ით-(3 სთ და 30 წუთის სავალი დროით), იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქი ქუთაისიდან 25 კმ-ით(0,5 საათი სავალი დროით) , ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით(37 წუთი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით (19 წუთი დროით). მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთაგორიანია, ზღვის დონიდან 30-1908 მ-ზეა, ფართობი — 815 კვ. კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 82.22 კვ.კმ. ბაღდათის ტერიტორიის 67,5% ტყით არის დაფარული. ჰავა ნოტიო და სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია როგორც სარკინიგზო, ასევე, საავტომობილო ტრანსპორტით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტერიტორია დაყოფილია 15 ტერიტორიულ ერთეულად, ერთი ქალაქ -ბაღდათი და 25 სოფელი, აქედან ერთი თემი - მაღალმთიან დასახლებათა სტატუსით.

მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით შეადგენს - 18400. ქალაქად ცხოვრობს 17%, ხოლო 83% - სოფლად. აქედან ახალგაზრდები 626 ცხოვრობს ქალაქად, ხოლო 3229 - სოფლად.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
  მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის/ გენდერული საბჭოს მაღალი მზაობა. გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა, სადაც საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია ბავშვთა/ ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობის საკითხებზე სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდა. მაღალი კვალიფიკაციის გენდერული საბჭოს წევრები, რომლებიც ჩართული იყვნენ საბჭოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში და შესაბამისად აქტივოებების დაგეგმვა-განხორციელებაშიც. მუნიციპალიტეტში არსებული შენობა ნაგებობის გამოყოფილი ფართი და კვადრატულობა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები, სპეც. ტექნიკა და აპარატურა; მუნციპალიტეტში მცხოვრები სამოქალაქო განათლების მასწავლებლები.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

ქვეყნის გენდერული პოლიტიკა. საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მოქმედი პროექტები გენდერული მიმართულებით.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის ტრენინგის ჩატარების საჭიროება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობით იყო გამოწვეული. პირველ რიგში ის გარემოება, რომ საგანის სწავლებით ძირითად შემთხვევაში ისტორიის

მასწავლებლები არიან დაკავებულები (რომლებიც სამწუხაროდ არც თუ ისე იშვიათ შემთვევებში ისტორიის საგაკვეთილო მასალის ახსნით არიან დაკავებულები მოქალაქეობის გაკვეთილებზე), ამავდროულად ბაღდათის მუნიციპალიტეტი არ წარმოაგენს რომელიმე ცენტრალურ ქალაქს, სადაც უფრო ხშირად ეძლევათ მასწავლებელებს საშუალება კომპეტენციის გაზრდისა. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ გედერი მგრძნობიარე თემაა - საკმარისია ხელოვნურობა, თავზე მოხვევა, რომ იგი უკუეფექტს, პროტესტს გამოიწვევს, ამიტომ თუ როგორ მივაწოდებთ მოსწავლლებს, რა მეთოდოლოგიით, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როდესაც მასწავლებელს მყარად აქვს გამჯდარი სტერეოტიპი, მდგომარეობა უფრო რთულია, მაგრამ თუ პედაგოგი ადეკვატურად იქნება მომზადებული, იგი ვეღარ უბიძგებს მოსწავლეს უთანასწორობისაკენ. ძალიან რთულია, როცა ოჯახურ ძალადობაზე საუბრობს პედაგოგი, რომელიც თავად გაიზარდა ასეთ ოჯახში და მისთვის არავის უსწავლებია ამ სტიგმის დაძლევა. ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას რეგიონებში. აღნიშნული ფაქტორებისა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, გენდერულმა საბჭომ საჭიროდ მივიჩნიეთ სასწავლო ტრენინგის გამართვა სწორედ გენდერულ ძალადობაზე და სწორედ სამოალაქო განათლების მასწავლებლებისათვის, რადგანაც გენედერული საკითხები სწორედ ,,სამოქალაქო განათლების“ სახელმძღვანელოებშია მოცემული.

-

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
  გასულ წელს გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის მიერ ჩატარდა სოფლად მცხოვრები ქალების საჭრიოებების კვლევა. ფოკუს ჯგუფების მონაწილე ქალები, რომელთა უმრავლესობას სწორედ მასწავლებლები და მშობლები წარმოადგენდნენ, როგორც ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას, ასევე პირად საუბრაბშიც სოფლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გენდერულ ძალადობას ასახელებდნენ. გამოკითხულთა უმრავლესობამ გენდერული ძალადობის მთავარ მიზეზად დაბალ ცნობიერება დაასახელა. შესაბამისად საბჭომ სამოქმედო გეგმის ახალ ვერსიაში ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდა გაითვალისწინა, ისევე როგორც ძველ სამოქმედო გეგმაში, სადაც ეს ჩანაწერი უკვე არსებობდა.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
  გენდერული საბჭოს მიზნებისა და ამოცანების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებში როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, გენდერული როლები, ნაადრევი ქორწინება, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული და ასე შემდეგ. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნების ფორმირების პროცესში, როდესაც მოზარდი ყალიბდება, უყალიბდება ღირებულებები, სწორად იქნეს მიწოდებული ინფორამცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა გენდერი, გენდერული თანასწორობა. ამ პროცესში მთავარი აქტორები ცხადია მასწავლებლები არიან. გენდერული საბჭო მხოლოდ საკუთარი ძალებით მუნიციპალიტეტში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს ვერ მოიცავს, ამიტომაც ამ ეტაპზე სათანამშრომლოდ შეირჩა სამოქალაქო განათლების მასწავლებლები . ეს შერჩევა შემთხვევითობის პრინციპით არ მომხდარა. თავად საგანი ,,სამოქალაქო განათლება" მისი სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას როგორცაა საკუთრი უფლებების და მოვალეობების გაცნობიერება რათა შეძლონ საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, გააჩნდეს მშვიდობიანად თანაარსებობის უნარი და შეეძლოს კონფლიქტების მართვა. აღნიშნული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად სამქოალაქო განათლების გაკვეითლებზე მოსწავლეები გადიან ისეთ საკითხებს როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, ბავშვთა უფლებები და მისი დარღვევა, ადრეული ქორწინება, ძალადობა და მისი ფორმები და ასე შემდეგ.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამათავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**
  სამიზნე აუდიტორიის მობილეზების პრცესში აქტიურად მონაწიელობდა ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი. ვინაიდან აქტივობა განხორციელდა ზაფხულში, როდესაც პედაგოგები შვებულებით სარგებლობდნენ, ბუნებრივია უფრო რთული აღმოჩნდა მათი მათი ფიზიკურ სივრცეში შეკრება, ამას დაემატა პანდემია, თუმცა ტრენინგები ჩატარდა კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით, მასწავლებლების შეკრება მოხდა მცირე ჯგუფებად.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  აქტივობის განხორციელების ყველა ეტაპში ჩართული იყო გენდერულ საკითხებზე პასუხიმგებებელი პირი, ასევე ადგილობრივი რესურ ცენტრის წარმოამაგენლები.
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

ვინაიდან აქტივობა განხორციელდა ზაფხულში, როდესაც პედაგოგები შვებულებით სარგებლობდნენ, ამ მიზეზის გამო კიდევ უფრო გაიზარდა ტრანსპორირების საჭიროება, რაც უზრუნველყო გენდერულმა საბჭომ, ასევე მოხდა მასწავლებელები გამასპინძლება ლანჩით, ესეც გენერული საბჭოს რესურსებით.

გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

პროექტისათვის სივრცე, პროექტორი, ყველა საჭირო საკანცელარიო საშუალება, ასევე კოვი რეგულაციების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსები უზრუნველყო მუნიციპალიტეტმა.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

  რაიმე განსაკუთრებული ბარიერი პროექტის მსვლელობისას არ გამოკვეთილა.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

ტრენერის ჩართულობა უზრუნველყო დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის მთავარი შედეგი არის ის, რომ აქტივობა მდგრადობის კუთხით საკმაოდ სტაბილური გამოვიდა., ეს არ ყოფილა მხოლოდ ტრენინგი ტრენინგისათვის ან შეხვედრა შეხვედრისათვის, რადგან გენდერულ საბჭოსა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხელშესახები პერსპექტივა არსებობს, არა მხოლდ თეორიულ დონეზე, არამედ პრატიკულობის თვალსაზრისიდაც. ტრენიგის შემდეგ გენდერულ საბჭოსა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლების მიერ რამოდენიმე საერთო აქტივობა განხორციელდა, სამომავლოდაც დაგეგმილია მსგავსი აქტივობები. მაგალითად ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის საჯარო სკოლაში მოეწყო ფილმის ჩვენება და დისკუსია. ასევე ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ერთ-ერთ სკოლაში ჩატარდა ღია გაკვეთილი გენდერულ თანასწორობასა და ნაადრევი ქორწინების შესახებ.

9. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

  ვინაიდან გენდერული საბჭოს წევრები არიან საკრებულოს წარმომადგენლები, მათ შორის გადაწყვეტილებების მიმღები პირები, შესაბამისად მათგან პროექტი მხარდაჭერილი იყო და განხორციელების ნაწილშიც მონაწილეობდნენ.

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში, რომელიც მალე დამტკიცდება საკრებულოს წესით, კვლავ ერთ-ერთ პუნქტად რჩება მასწავლებლების ინფორმირებულობის გაზრდა გენდერული მიმართულებით. ასევე დაგეგმილია სასკოლო ბანაკების შექმნა, ცხადია სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან კოორდინაციით მოხდება ბანაკის მონაწილე ბავშვების შერჩევა.

11. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

  სოფიკო ნატრიაშვილი- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. ტ: 995 09 07 04. ელ-ფოსტა: sopio.natriashvili@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

  ნოდარ გიორგიძე-გენდერული საბჭოს თავმჯდომარე- ტ: 595 33 26 33

  კახა გოგნაძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფოსი (გენდრული საბჭოს წევრი) -ტ: 595 41 74 74

12. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

ფილმის ჩვენება-დისკუსია

მასწავლებლების ტრენინგის ნიუსი

პ.ს. ერთ-ერთ საჯარო სკოლაში განხორციელელბული აქტივობა ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შესაბამისად მინდინარე საომარი ვითარების გათვალისწინებით არ მომხდარა გაშუქება, ამიტომაც წარმოგიდგენთ აქტივობის ამსახველ ფოტოებს.

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

STOP


მათ უნდოდათ, რომ ცნობიერება
აემაღლებინათ ადრეულ ქორწინებისა
და მის გავლენაზე გოგონების
განათლების კუთხით.


მათ უნდოდათ, რომ ცნობიერება
აემაღლებინათ ადრეულ ჭაბუნებისა
და მის გავლენაზე გოგონების
განათლების კუთხით.